

შუახვევის მუნიციპალიტეტი - სერვისის ონლაინპლატფორმის პრეზენტაცია და კოვიდრეგულაციების გაცნობა

06.06.2021 - 10.06.2021

ტრენინგის შესახებ

აჭარის ტურიზმის დეპარტამენტი შრომის უსაფრთხოების ინსპექციის თანამშრომლებთან ერთად ტურიზმის სექტორის წარმომადგენლებთან შეხვედრებს იწყებს. შეხვედრებზე, რომელიც აჭარის ყველა მუნიციპალიტეტში გაიმართება, დაგეგმილია სერვისის ახალი ონლაინპლატფორმის პრეზენტაცია და კოვიდრეგულაციების გაცნობა სტუმრებისთვის. ყველა კოვიდრეგულაციისა და სტანდარტის ნახვა დაინტერესებულ პირებს სერვისის ახალ ვებგვერდზე შეეძლება, სადაც ასევე აიტვირთება დეპარტამენტის მიერ დაგეგმილი ტრენინგები, სემინარები და მასტერკლასები. ახალ ვებგვერდზე ტრენინგების განრიგთან ერთად ხელმისაწვდომი იქნება ყველა ვიდეოგაკვეთილი, სახელმძღვანელო თუ სატრენინგო მასალა, რასაც აჭარის ტურიზმის დეპარტამენტი სერვისის გაუმჯობესების მიზნით რეგიონში ანხორციელებს. ([იხ.ფოტოგალერეა](#))

შუახვევის მუნიციპალიტეტში ტურიზმის სფეროს წარმომადგენლებისათვის შეხვედრა გაიმართება 6 ივნისს 16:00 საათზე, დაბა შუახვეში, რესტორან შუახვევის დარბაზში. შეხვედრაზე დასასწრებად გთხოვთ გაიარეთ რეგისტრაცია. დამატებითი კითხვების შემთხვევაში დაგვიკავშირდით ნომერზე: 577909052

განრიგი და ფორმატი

ტრენინგის ჩატარების ადგილი:

შუახვევის მუნიციპალიტეტი

რესტორანი შუახვევი.

პროგრამა

2021 წლის 6 ივნისი

16:30 - ტრენინგზე მონაწილეთა მიღება და რეგისტრაცია

17:00 - მისალმება, თინათინ ზოიძე, აჭარის არ ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტის თავმჯდომარე

17:10 -

სერვისის ონლაინპლატფორმის პრეზენტაცია, თამარ კაიკაციშვილი, აჭარის არ ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე

17:30 - საქართველოს შრომის უსაფრთხოების დეპარტამენტის ტრენინგი თემებზე:

1. ახალი კორონავირუსით გამონეულ ინფექციასთან (COVID -19) დაკავშირებული რეკომენდაციები სასტუმროებისა და საზოგადოებრივი კვების ობიექტებისთვის;

2. რეკომენდაციების შესრულებაზე ზედამხედველი ორგანოს რეაგირების ფორმები.